

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

---

ალექსანდრე სბორშჩიკოვი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი მათემატიკის  
დეპარტამენტი

"ზოგიერთი სეისმური პროცესის ალბათურ-  
სტატისტიკური მოდელირება"

სადოქტორო დისერტაცია



სამეცნიერო ხელმძღვანელები: რობერტ მნაცაკანოვი  
ელიზბარ ნადარაია  
თეიმურაზ მაჭარაშვილი

თბილისი 2018

## აბსტრაქტი

ამ კვლევის მთავარი მიზანია კვანტილის ფუნქციის აპროქსიმაციის შესწავლა იმ შემთხვევაში, როცა გვაქვს არასრული ინფორმაცია განაწილების ფუნქციაზე. მაგალითად, თუ ცნობილია მომენტები გარკვეულ რიგამდე, ან როცა ლაპლასის გარდაქმნაა მოცემული.

აღნიშნულ ნაშრომში შესწავლილია აპროქსიმაციისა და შეფასების სამი მოდელი. პირველი მოდელის გამოყენება შეიძლება მაშინ, როცა გვაქვს ინფორმაცია ე.წ. სიხშირულ მომენტებზე. მეორე მოდელი ეხება კვანტილის ფუნქციის აპროქსიმაციას იმ შემთხვევაში, როცა მოცემულია ჩვეულებრივი მომენტები, ხოლო მესამე მოდელის გამოყენება ხდება, როცა მოცემულია ტრანსპონირებული მომენტები.

კვანტილის ფუნქციის შეფასების სხვადასხვა მოდელი არსებობს. ჩვენი განხილული მოდელის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მათი გამოყენება შეიძლება მაშინაც, როცა განაწილების ფუნქციის შესახებ გვაქვს მცირე ინფორმაცია, მაგალითად, მხოლოდ ჩვეულებრივი, ენტროპიული ან ტრანსპონირებული მომენტების მნიშვნელობები.

კვანტილის და კვანტილის სიმკვრივის ფუნქციის აპროქსიმაციის შესწავლის საკითხი ძალზედ პოპულარურია, მისი შესწავლა დაიწყო ჯერ კიდევ 1980 წლებში. ამ ნაშრომში მოყვანილია რამოდენიმე ახალი კვანტილის და კვანტილის სიმკვრივის ფუნქციის შეფასება. ჩვენ განვიხილავთ იმ შემთხვევებს, როცა განაწილების ფუნქციის განსაზღვრის არე არის სასრული ან არ არის ზემოდან შემოსაზღვრული.

**Aleksandre Sborshchikovi**

**Faculty of Exact and Natural Sciences Department of  
Mathematics**

Thesis submitted for the degree of PhD in Mathematics



Probability-statistical modeling of some seismic processes

Scientific advisers: Robert Mnatsakanov  
Elizbar Nadaraya  
Teimuraz Matcharashvili

**Tbilisi 2018**

## Abstract

The main aim of this work is to construct accurate approximations of a quantile function  $Q$  under incomplete information upon the underlying distribution function  $F$ . Namely, we assume that the only available data represent the values of a finite number of moments (“frequency” or “entropic” moments, the values of Laplace transform) of  $F$  or  $Q$ .

We propose three methods for approximation and estimation of a quantile function  $Q$ . The first method (method I) is based on the knowledge of the so-called “frequency” (entropic) moments of  $F$ . The second one (method II) enables us to recover  $Q$ , when only the ordinary moments of  $F$  are known (or estimated) up to some order. And the third method is based on the knowledge of the so called transformed moments. In addition we also consider the problem of approximation of the quantile density function  $q = Q'$ .

There exists many different nonparametric methods for estimating the quantile function  $Q$  and the quantile density function  $q$ . The advantage of our approach is that it can be applied in the situations when only ordinary, frequency moments, or the finite number of values of the Laplace transform of underlying distribution  $F$  are available.

Since 1980's the recovery of a quantile density functions had become a popular area of investigation. In this work several new estimates of a quantile and quantile density functions are suggested and their asymptotic properties are investigated in two different cases: when the support of the distribution function  $F$  is finite and when it is unbounded from above.

აბსტრაქტი -----	4
შესავალი -----	7

**თავი I: კვანტილის ფუნქციის აღდგენა**

1.1 მოდელი I: $\text{supp}\{F\} = (0, T), T < \infty$ -----	16
1.2 მოდელი I: $\text{supp}\{F\} = (0, \infty)$ -----	21
1.3 მოდელი II: $\text{supp}\{F\} = (0, T), T < \infty$ -----	24
1.4 მოდელი II: $\text{supp}\{F\} = (0, \infty)$ -----	26
1.5 მოდელი III: $\text{supp}\{F\} = (0, \infty)$ -----	27
1.6 კვანტილის ფუნქციის აპროქსიმაციების მოდელიზაცია -----	28

**თავი II: კვანტილის სიმკვრივის ფუნქციის აპროქსიმაცია**

2.1 მოდელი I: $\text{supp}\{F\} = (0, T)$ -----	30
2.2 მოდელი II: $\text{supp}\{F\} = (0, T)$ -----	33
2.3 კვანტილის სიმკვრივის ფუნქციის აპროქსიმაციის მოდელიზაცია -----	34

**თავი III: შეფასებები**

3.1 კვანტილის ფუნქციის შეფასება -----	35
3.2 მოსალოდნელი დევიაციის შეფასება -----	41
3.3 ლორენცის მრუდის შეფასება -----	43

## თავი IV: მაგალითები

4.1 კვანტილის და კვანტილის სიმკვრივის ფუნქციის აპროქსიმაციები და შეფასებები -----	45
4.2 ცხრილები -----	70
4.3 მიწისძვრებს შორის დროის ინტერვალების გამოთვლა და შესაბამისი კვანტილის ფუნქციის შეფასებისთვის გამოყენება -----	75
დასკვნა -----	87
გამოყენებული ლიტერატურა -----	89
პროგრამული კოდები -----	91

## შესავალი

დღესდღეობით მომენტთა პრობლემა თამაშობს საკმაოდ მნიშვნელოვან როლს სტატისტიკაში და გამოყენებით მათემატიკაში, ფინანსურ მათემატიკაში, ეკონომიკაში, დაზღვევაში და აგრეთვე სხვადასხვა დარგში. ბოლო ორი საუკუნეა, რაც მომენტთა პრობლემა ბევრ სამეცნიერო ნაშრომში არის დასმული და შესწავლილი. დღემდე ეს პრობლემა თანამედროვე მათემატიკის ერთ-ერთ საინტერესო ამოცანად რჩება.

ამ ნაშრომში განხილულია კვანტილის ფუნქციის აპროქსიმაციის და შეფასების საკითხები, როცა მოცემულია უცნობი განაწილების ფუნქციის მომენტების მნიშვნელობები გარკვეულ რიგამდე.

ვიტყვი, რომ მომენტთა პრობლემას აქვს ერთადერთი ამონახსნი, როცა შემდეგ განტოლებათა სისტემას  $\int x^j dF(x) = \int x^j dG(x)$ ,  $j = 0, 1, \dots$  აქვს ერთადერთი ამონახსნი, ე.ი.  $F = G$ .

მომენტთა პრობლემის დასმის და შესწავლის ფუძემდებლები იყვნენ: ფ.ჰაუსდორფი (F. Hausdorff), ტ.სტიელტესი (T. J. Stieltjes), პ.ჩებიშევი (P. Chebyshev), ტ.კარლემანი (T. Carleman), ნ.ახიეზერი (N. Akhiezer) და სხვები. მომენტთა პრობლემის შესწავლის დროს კლასიკურ საკითხს წარმოადგენს ასეთი ფუნქციის არსებობის და ერთადერთობის აუცილებელი და საკმარისი პირობის მოძებნა, მაგალითად კარლემანის და კრეინის პირობები. მეორე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ასეთი  $F$  ფუნქციის და მისი შებრუნებული  $Q = F^{-1}$  ფუნქციის აღდგენა. ამ ნაშრომში განიხილება ეს საკითხები.

თანამედროვე მეცნიერები სწავლობდნენ განაწილების ფუნქციის შეფასების და აპროქსიმაციის (აღდგენის) საკითხს იმ შემთხვევისთვის, როცა მოცემულია ემპირიული განაწილების ფუნქცია. აღსანიშნავია შემდეგ მეცნიერთა მიღწევები: ფ.ჰარელი (F. Harrell) და ს.დევისი (C. Davis), ჯ.სვანპოელი (J. Swanepoel) და ფ.ვან გრანი (F. van Graan), ე.ნადარაია (E. Nadaraya), ე.პარზენი (E. Parzen), ჩ.ჩენგი (C. Cheng) და ა.შ.. წარმოდგენილი ნაშრომი ეხება განაწილების ფუნქციის შებრუნებული ანუ კვანტილის ფუნქციის აღდგენას იმ შემთხვევაში, როცა ცნობილია ჩვეულებრივი, ენტროპიული ან ტრანსპონირებული მომენტები გარკვეულ რიგამდე.

არსებობს კვანტილის ფუნქციის არაპარამეტრული შეფასების რამოდენიმე მეთოდი. გამოვეყნოთ რამოდენიმე, მაგალითად Harrell, Davis [1] ნაშრომში მოყვანილი შეფასება წარმოადგენს რიგობრივი სტატისტიკის წონიან ჯამს, Sheather, Marron [2] ნაშრომში გლუვი ბირთვული ტიპის შეფასება. Swanepoel, Van Graan [3] თავის ნაშრომში შემოგვთავაზეს კვანტილის ფუნქციის ისევ ბირთვული ტიპის შეფასება, არაპარამეტრული გარდაქმნის ტექნიკის გამოყენებით. Bolance, Guillen, Nielsen [4] და Brewer [5] ნაშრომებში იყო განხილული ბერნშტეინის პოლინომის გამოყენებით კვანტილის ფუნქციის შეფასება.

შესავალში უფრო დაწვრილებით აღვწეროთ ზოგიერთი ცნობილი შეფასებები და განვმარტოთ ჩვენს მიერ შემოთავაზებული კონსტრუქციები.

პირველ რიგში შემოვიღოთ განაწილების  $F$  ფუნქციის შესაბამისი კვანტილის ფუნქციის განმარტება.  $Q(x)$  ვუწოდებთ კვანტილის ფუნქციას, თუ

$Q(x) = \inf\{t : F(t) \geq x\}$ ,  $x \in (0,1)$ . შევნიშვნოთ, რომ თუ  $F$  არის უწყვეტი ფუნქცია მაშინ  $Q = F^{-1}$ .  $Q$  საზოგადოდ უწოდებენ  $F$ -ის განზოგადოებულ შებრუნებულ ფუნქციას. ახლა მოვიყვანოთ სხვადასხვა ტიპის კვანტილის ფუნქციის შეფასებები.

ვთქვათ გვაქვს  $X_1, X_2, \dots, X_n$  შერჩევა დამოუკიდებელ დაკვირვებებიდან, რომელთა განაწილების ფუნქცია არის  $F(x)$ . ვთქვათ  $F(x)$  განაწილების სიმკვრივე არის  $f(x)$  და ის უწყვეტია მთელ  $x$  ღერძზე.

აღვნიშნოთ:

$$\hat{Q}_n(x) = \inf\{t : \hat{F}_n(t) \geq x\}, \quad 0 < x < 1. \quad (1)$$

აქ  $\hat{F}_n(t) = n^{-1} \sum_{i=1}^n I(X_i \leq t)$ , წარმოადგენს ემპირიულ განაწილების ფუნქციას, სადაც

$I(X_i \leq t) = 1$ , როცა  $X_i \leq t$ , და  $0$ , როცა  $X_i > t$ .

ერთ-ერთი  $Q$ -ს გლუვი შეფასება იყო შემოთავაზებული (Cheng, Parzen [6]) ე.პარზენის მიერ 1979 წელს. მან შემოიღო ბირთვული (kernel) შეფასება, რომელსაც აქვს შემდეგი სახე:

$$\hat{Q}_n^K(x) = \int_0^1 h_n^{-1} k\left(\frac{t-x}{h_n}\right) \hat{Q}_n(t) dt, \quad (2)$$

სადაც  $k(\cdot)$  არის გარკვეული სიმეტრიული ალბათური განაწილების სიმკვრივე.

მან განიხილა ბირთვული ტიპის ემპირიული კვანტილის სიმკვრივის ფუნქციის შეფასება, რომელსაც აქვს შემდეგი სახე:

$$\hat{q}(x) = \int_0^1 h_n^{-2} k\left(\frac{x-t}{h_n}\right) \hat{Q}_n(t) dt = \frac{d}{dx} \int_0^1 h_n^{-1} k\left(\frac{x-t}{h_n}\right) \hat{Q}_n(t) dt, \quad 0 < x < 1. \quad (3)$$

აღვნიშნოთ, რომ  $q(x) = Q'(x) = \frac{1}{f(Q(x))}$  და მას ვუწოდებთ კვანტილის სიმკვრივის ფუნქციას.

1964 წელს Nadaraya [7] ნაშრომში განხილული იყო განაწილების ფუნქციის სხვა ტიპის გლუვი შეფასება. კერძოდ მიახლოების როლში აღებული იყო შემდეგი განაწილების ფუნქცია:

$$F_n(x) = \int_{-\infty}^x f_n(t) dt,$$



სადაც  $f_n(t) = \frac{1}{nh} \sum_{i=1}^n k\left(\frac{t-X_i}{h}\right)$ , არის განაწილების სიმკვრივის ე.წ. პარზენ-

როზენბლატის შეფასება.

ვთქვათ  $\zeta_p$  არის  $F$  განაწილების  $p$  რიგის კვანტილი, ის წარმოადგენს  $F(\zeta) = p$  განტოლების ფესვს, სადაც  $0 < p < 1$ . დავუშვათ  $F$  არის უწყვეტი და ეს ფესვი ერთადერთია.

$\zeta_p$  კვანტილთან შეფასების როლში ავიღოთ განტოლების ფესვი  $F_n(\bar{\zeta}_p) = p$ , შემდგომში  $\bar{\zeta}_p$  ვუწოდებთ არჩევით კვანტილს. ყოველი  $\varepsilon > 0$ , აღვნიშნოთ

$$\delta(\varepsilon) = \min \{F(\zeta_p + \varepsilon) - F(\zeta_p), F(\zeta_p) - F(\zeta_p - \varepsilon)\}$$

ვინაიდან თავიდან შემოთავაზებული იყო, რომ  $\zeta_p$  არის ერთადერთი ფესვი აქედან გამომდინარე გვექნება  $\delta(\varepsilon) > 0$ , და და, ასევე სამართლიანია შემდეგი უტოლობები:

$$P\{|\bar{\zeta}_p - \zeta_p| > \varepsilon\} \leq P\{|F(\bar{\zeta}_p) - F(\zeta_p)| > \delta(\varepsilon), \varepsilon > 0\},$$

$$|F(\bar{\zeta}_p) - F(\zeta_p)| = |F(\bar{\zeta}_p) - F_n(\bar{\zeta}_p)| \leq \sup_{-\infty < x < \infty} |F_n(x) - F(x)|,$$

ამასთან ცნობილია, რომ  $\sup_{-\infty < x < \infty} |F_n(x) - F(x)| \rightarrow 0$ , როცა  $n \rightarrow \infty$ . ამიტომ მივიღეთ, რომ

$P\{|\bar{\zeta}_p - \zeta_p| > \varepsilon\} \rightarrow 0$  (იხ. Nadaraya [7]). ამ გზით დამტკიცებულია  $\bar{\zeta}_p$  შეფასების ძალდებულობა.

1982 წელს [1] ნაშრომში განხილული იყო ე.წ. Harrell, Davis კვანტილის ფუნქციის შეფასება ( $\hat{Q}_{HD}$ ). ამ შეფასების ფორმულირება მიღებულ იქნა შემდეგი მოსაზრებების გათვალისწინებით:  $k$ -ური რიგობითი სტატისტიკის მათემატიკური ლოდინი მოიცემა შემდეგი სახით:

$$E(X_{(k)}) = \frac{1}{B(k, n-k+1)} \int_{-\infty}^{\infty} x F(x)^{k-1} (1-F(x))^{n-k} dF(x) =$$

$$= \frac{1}{B(k, n-k+1)} \int_0^1 F^{-1}(y) y^{k-1} (1-y)^{n-k} dy. \quad (4)$$

(იხ. Maritz, Jarrett [8]). ამასთან  $E(X_{(k)}) \rightarrow F^{-1}(p)$ -სკენ, როცა  $k \approx (n+1)p$  და  $n \rightarrow \infty$ , ყოველი  $p \in (0,1)$ , მე-(4) გამოყენებით ვიღებთ H-D შეფასებას:

$$\hat{Q}_{HD}(p) = \frac{1}{B((n+1)p, (n+1)(1-p))} \int_0^1 \hat{F}_n^{-1}(y) y^{(n+1)p-1} (1-y)^{(n+1)(1-p)-1} dy. \quad (5)$$

ზემოთ მოცემულ შეფასებას შეიძლება მიეცეს შემდეგი სახე:

$$\hat{Q}_{HD}(p) = \sum_{i=1}^n W_{n,i} X_{(i)}, \quad (6)$$

სადაც

$$W_{n,i}(p) = \frac{1}{B((n+1)p, (n+1)(1-p))} \int_{\frac{i-1}{n}}^{\frac{i}{n}} y^{(n+1)p-1} (1-y)^{(n+1)(1-p)-1} dy. \quad (7)$$

2005 წელს სტატისტიკის სკანდინავიურ ჟურნალში ჯ.სვანპოულის და ფ.ვან გრანის მიერ დაიბეჭდა სტატია Swanepoel, Van Graan [3], სადაც, განხილული იყო ახალი ბირთვული განაწილების ფუნქციის შეფასება იმ მოდელის მსგავსი, რომელიც იქნა განხილული Nadaraya [7]. სადაც განხილული იყო მონაცემთა არაპარამეტრული გარდაქმნით ბირთვული ტიპის განაწილების ფუნქციის შეფასება. ნაჩვენები იყო, რომ ასიმტოტური გადახრის და საშუალო ცდომილების შეფასება არის უფრო ზუსტი ვიდრე სტანდარტული ბირთვული ტიპის შეფასება.

$$\hat{F}_{n,h}(x) = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n K \left( \frac{\hat{F}_n(x) - \hat{F}_n(X_i)}{h} \right), \quad (8)$$

$h = h_n$  პარამეტრი არის სიგლუვის პარამეტრი, ისეთი რომ,  $h \rightarrow 0$  და  $nh \rightarrow \infty$ , როცა  $n \rightarrow \infty$ . ცნობილია  $\hat{F}_{n,h}$  ზოგიერთი თვისება, მაგალითად  $\hat{F}_{n,h}$  მიისწრაფის  $F$ -სკენ იყო ნაჩვენები Nadaraya [7] და სხვა შედეგები მიღებულია ბევრ სამეცნიერო ნაშრომში.

ერთ-ერთი გზა განხილული არის Tagliani [9] და Inverardi [10] ნაშრომებში. ზემოთ ხსენებული მეთოდი ეყრდნობა სიმკვრივის ფუნქციის ენტროპიის მაქსიმალიზაციას, უფრო სწორედ მოცემულ  $F$  ფუნქციის მომენტთა მიმდევრობა

$$\{m(j, F)\}_0^M, \text{ და შენონის ენტროპია } H(f) = - \int_0^1 f(x) \ln f(x) dx.$$

ამ მოდელში ეძებენ ფუნქციების ისეთ ოჯახს, რომლისათვის დაანგარიშებული ენტროპია  $f_M(x) = \exp(-\sum_{j=0}^M \lambda_j x^{aj})$  და  $\lambda$  მიმართ მოგვცემს მაქსიმალურ მნიშვნელობას. მოყვანილი მიდგომა მრავალბიჯიანი პროცედურაა და მოითხოვს დაანგარიშებისთვის დიდ დროს.

ახლა შემოვიღოთ ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდი, რომელიც ეხება ჰაუსდორფის მომენტთა პრობლემას და წარმოადგენს უცნობი განაწილების ფუნქციის  $F(x)$  აღდგენას, როცა ცნობილია  $\{m(j, F)\}_{j=0}^\infty$  მომენტები, სადაც

$m(j, F) = \int_0^1 x^j dF(x), j \geq 0$ . განაწილების ფუნქციის აღდგენის საკითხი მომენტთა

მეშვეობით ძალიან მოხერხებულია იმ შემთხვევაში, როცა გვაქვს ფუნქციის შესახებ მწირი ინფორმაცია, ხოლო მომენტთა გამოთვლა მარტივად ხდება.

ჩვენ მოცემულ ნაშრომში ვისარგებლებთ განაწილების და სიმკვრივის ფუნქციების აღდგენის შემდეგი ფორმულებით, რომელიც იყო გამოყენებული Mnatsakanov [11] და Mnatsakanov [12]:

$$F_\alpha(x) = \sum_{k=0}^{\lfloor \frac{\alpha x}{T} \rfloor} \sum_{j=k}^{\alpha} \binom{\alpha}{j} \binom{j}{k} \frac{(-1)^{j-k}}{T^j} m(j, F), \quad (9)$$

$$f_\alpha(x) = \frac{\Gamma(\alpha+2)}{\Gamma(\lfloor \frac{\alpha x}{T} \rfloor + 1)} \sum_{j=0}^{\alpha - \lfloor \frac{\alpha x}{T} \rfloor} \frac{(-1)^j m(j + \lfloor \frac{\alpha x}{T} \rfloor)}{j!(\alpha - \lfloor \frac{\alpha x}{T} \rfloor - j)!}. \quad (10)$$

მსგავსი ტექნიკა იქნება გამოყენებული კვანტილის და კვანტილის სიმკვრივის ფუნქციების აღდგენის და შეფასების დროს.

ნაშრომი შედგება შესავლისგან, მთავარი ნაწილისგან, რომელიც თავის მხრივ იყოფა ოთხ თავად და დასკვნისგან.

პირველ თავში არის განხილული კვანტილის ფუნქციის აპროქსიმაციის სამი მოდელი. იმ შემთხვევებისთვის, როცა გვაქვს მოცემული მომენტების მნიშვნელობები სასრულ რიგამდე

$$m_F^- = \{m^-(j, F), j = 0, 1, \dots, \alpha\}, \quad m^-(j, F) = \int_0^1 [F(t)]^j dt. \quad (11)$$

ასევე, მოდელები განაწილების ფუნქციის supp-ის (მზიდის) მიხედვით არის დაყოფილი ორ ნაწილად: თუ  $\text{supp } \{F = (0, 1)\}$ , ან  $\text{supp } \{F = (0, \infty)\}$ .

მოდელი I:

$$Q_\alpha^-(x) = \sum_{k=0}^{\lfloor \alpha x \rfloor} \sum_{j=k}^{\alpha} \binom{\alpha}{j} \binom{j}{k} (-1)^{j-k} m^-(j, F), \quad x \in (0, 1)$$

$$Q_{\alpha, S}(x) = \sum_{k=\alpha - \lfloor \alpha x \rfloor}^{\alpha} \sum_{j=k}^{\alpha} \binom{\alpha}{j} \binom{j}{k} (-1)^{j-k} m^-(j, S),$$

$$m^-(j, S) = \int_0^\infty [S(t)]^j dt, \quad j = 1, \dots, \alpha., \quad \text{სადაც } S(t) = 1 - F(t).$$

მოდელი II:

$$Q_\alpha(x) = \int_0^1 B_\alpha(F_\alpha(u), x) du,$$

$$Q_{\alpha,b}(x) = \int_0^\infty B_\alpha(F_{\alpha,b}(u), x) du.$$

მოდელი III:

$$Q_\alpha^+(x) = \int_0^1 \beta(t, c_x, d_x) Q(t) dt.$$

$$m^+(j, F) = \int t [F(t)]^j dF(t), \quad j = 0, 1, \dots, \alpha$$

$\beta(t, c_x, d_x)$  - ბეტა განაწილების სიმკვრივეა.

მეორე თავში მოყვანილია კვანტილის სიმკვრივის ფუნქციის აპროქსიმაციების მოდელები ისეთივე პირობებში, როცა განაწილების ფუნქციის (მზიდი)  $\text{supp}$  არის კომპაქტი.

მოდელი I:

$$q_\alpha^-(x) = (B_\alpha^{-1} m_F^-)(x) = \frac{\Gamma(\alpha + 2)}{\Gamma(\lceil \alpha x \rceil + 1)} \sum_{j=0}^{\alpha - \lceil \alpha x \rceil} \frac{(-1)^j m^-(j + \lceil \alpha x \rceil, F)}{j!(\alpha - \lceil \alpha x \rceil - j)!}, \quad x \in (0, 1)$$

ან და  $(0, \infty)$  :

$$q_{\alpha,S}(x) = \frac{\Gamma(\alpha + 2)}{\Gamma(\lceil \alpha \varphi(x) \rceil + 1)} \sum_{j=0}^{\alpha - \lceil \alpha \varphi(x) \rceil} \frac{(-1)^j m^-(j + \lceil \alpha \varphi(x) \rceil, S)}{j!(\alpha - \lceil \alpha \varphi(x) \rceil - j)!}, \quad x \in (0, \infty)$$

აქ  $\varphi(x) = 1 - x$ .

მოდელი II:

$$q_\alpha^*(x) = \int_0^1 \beta(F_\alpha(u), \lceil \alpha x \rceil + 1, \alpha - \lceil \alpha x \rceil + 1) du, \quad \text{supp}(0, 1)$$

$$q_{\alpha,b}(x) = \int_0^\infty \beta(F_{\alpha,b}(u), b(u), \lceil \alpha x \rceil + 1, \alpha - \lceil \alpha x \rceil + 1) du, \quad \text{supp}(0, \infty)$$

აგრეთვე პირველ ორ თავში შემოღებულია ახალი მოდიფიცირებული ვერსია კვანტილის და კვანტილის სიმკვრივის ფუნქციების აპროქსიმაციების

$$\tilde{q}_\alpha^-(x) = 2q_{\tilde{\alpha}}^-(x) - q_\alpha^-(x),$$

$$\tilde{q}_{\alpha,S}(x) = 2q_{\tilde{\alpha},S}(x) - q_{\alpha,S}(x),$$

სადაც  $\tilde{\alpha} = 2\alpha$ . და ნაჩვენებია მისი უპირატესობა ორიგინალ მოდელებთან შედარებით.

ნაშრომის მესამე თავი ეხება კვანტილის და კვანტილის სიმკვრივის ფუნქციების შეფასებას სხვადასხვა მოდელებისთვის:

$$\hat{Q}_\alpha^-(x) = (K_\alpha^{-1} m_{\hat{F}_n}^-)(x) = \sum_{k=0}^{\lfloor \alpha x \rfloor} \sum_{j=k}^{\alpha} \binom{\alpha}{j} \binom{j}{k} (-1)^{j-k} m^-(j, \hat{F}_n),$$

$$Q_{\alpha, \hat{S}_n}(x) = (\bar{K}_\alpha^{-1} m_{\hat{S}_n}^-)(x) = \sum_{k=\alpha - \lfloor \alpha x \rfloor}^{\alpha} \sum_{j=k}^{\alpha} \binom{\alpha}{j} \binom{j}{k} (-1)^{j-k} m^-(j, \hat{S}_n)$$

$$\hat{Q}_{\alpha, n}(x) = \int_0^1 B_\alpha(\hat{F}_n(u), x) du$$

აღწერილია და შესწავლილია მათი ზოგიერთი თვისება, დამტკიცებულია ძალდებულობის თეორემები.

მეოთხე თავში არის შესწავლილი კვანტილის და კვანტილის სიმკვრივის ფუნქციის აპროქსიმაციის და შესაბამისი ემპირიული ანალოგების (შეფასებების) ყოფაქცევა განხილულია რამოდენიმე მაგალითი და შედეგი მოყვანილია გრაფიკების სახით სხვადასხვა პარამეტრების დროს.

ნაშრომში ასევე შესწავლილია კვანტილის და კვანტილის სიმკვრივის ფუნქციის შეფასების და აპროქსიმაციის საკითხი ეკონომიკაში გამოყენებად

პროცესებში. მაგალითად ლორენცის მრუდის შეფასება :  $\hat{L}_\alpha(x) = \frac{1}{\hat{\mu}} \int_0^x \hat{Q}_\alpha(t) dt$ , ან

მოსალოდნელი დეფიციტი (ES) Mnatsakanov, Sborshchikovi[13]:  $\hat{e}s_\alpha(x) = \frac{1}{1-x} \int_x^1 \hat{Q}_\alpha(t) dt$ .

$$ES(x) = \frac{1}{1-x} \int_x^1 Q(\tau) d\tau$$

კიდევ ერთი საინტერესო საკითხი, რომელიც შესწავლილია ამ ნაშრომში განიხილავს კვანტილის და კვანტილის სიმკვრივის ფუნქციის აღდგენას მარჯვნიდან

ცენზურირების პირობებში:  $\hat{Q}_{\alpha, KM}(x) = \int_0^\infty B_\alpha(F_{KM}(u), x) du$ ,

$$\hat{q}_{\alpha, KM}(x) = (B_\alpha^{-1} m_{\hat{S}_{KM}}^{-1})(x).$$

აგრეთვე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შემოთავაზებულ იქნება მეოთხე თავში შეეხება მიწისძვრებს შორის დროის ინტერვალების ე.წ. მოლოდინის (ლოდინის) დროის (waiting time) გამოყენებას ჩვენს მიერ შემოთავაზებულ მოდელებისთვის.

ზემოთ აღნიშნული მოლოდინის (ლოდინის) დროის არის აღებული ჩვენს მიერ არსებული სხვადასხვა მიწისძვრების კატალოგიდან. შედარებისთვის აღებულ იქნა დედამიწის სხვადასხვა რეგიონის სეისმური მონაცემები მაგალითად: კავკასია, სომხეთი, საბერძნეთი, ყირგიზეთი და სამხრეთ კალიფორნია.

საბერძნეთის, კალიფორნიის და ყირგიზეთის კატალოგი მოძიებულ იქნა ინტერნეტიდან. კავკასიის კატალოგი მიღებულ იქნა მ.ნოდის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის და ილიას უნივერსიტეტის ბაზაზე, ხოლო სასომხეთის

კატალოგი გამოყენებულ იქნა იმავე სტილის, რაც იყო გამოყენებული Gevorgyan and etc.[14] სტატიაში.

ჩვენ ვიღებდით  $\alpha$  და  $n$  სხვადასხვა პარამეტრების მნიშვნელობებს. ვადარებდით თუ როგორ იქცევა ჩვენი მოდელის შეფასება და ჰარელ-დევისის შეფასება. ეს კვლევა იყო ჩატარებული სპეციალურად შემუშავებული პროგრამულ Matlab-ის ბაზაზე. სამწუხაროდ ტექნიკური ხარვეზების გამო ( მძლავრი კომპიუტერების ნაკლებობა),  $\alpha$  პარამეტრის მაღალი მნიშვნელობის გამოყენება ვერ ხერხდება რადგანაც ფორმულაში მონაწილეობენ ფაქტორიალები, რომლებიც გვაძლევს დიდ ცდომილებას მაღალ  $\alpha$  -სთვის.  $\alpha$  ოპტიმალური მნიშვნელობა მერყეობს 30-35 ფარგლებში. მაგრამ აპროქსიმაციების უფრო ზუსტი მიახლოება შესაძლებელია პროგრამა მათემატიკის (Mathematika) გამოყენების დროს, რადგან შეგვიძლია მაღალი  $\alpha$  მნიშვნელობის აღება.

განხილული მოდელის შესაბამისი შეფასებები ჰარელ-დევისის მოდელთან შედარებით არ არის უწყვეტი, თუმცა ამ ფაქტის თავის არიდების მიზნით შეიძლება ავალთ ინტერპოლიაცია მაგალითად ბერნშტეინის პოლინომის საშუალებით. ჰარელ-დევისის მოდელთან შედარებით აღნიშნული მოდელის უპირატესობა მდგომარეობს იმაში რომ მისი გამოყენება ხდება მაშინ როდესაც არ არსებობს დაკვირვებები და გვაქვს მოცემული მომენტები ან მათი შეფასება გარკვეულ რიგამდე.

ასევე ნაშრომის შედეგები, რომელიც მოყვანილი იქნება მეოთხე თავში ცხრილების საშუალებით, გვიჩვენებს, რომ  $\alpha$  კოეფიციენტი ზრდა აპროქსიმაციის შემთხვევაში გვაძლევს უკეთეს მიახლოებას თეორიულ კვანტილის ფუნქციასთან. რაც შეეხება შეფასებას ასევე ცხრილებზე დაყრნობით ვხედავთ, რომ  $\alpha$  და  $n$  პარამეტრების ზრდა გვაძლევს უფრო უკეთეს მიახლოებას. მაგრამ მათი სიჩქარის ზრდა არ არის ბოლომდე შესწავლილი. დანამდვილებით ცნობილია, რომ  $\frac{\alpha}{n} \rightarrow 0$ , როცა  $\alpha \rightarrow \infty$  და  $n \rightarrow \infty$ .

# თავი I

## კვანტილის ფუნქციის აღდგენა

მომენტთა პრობლემა დღევანდელი მეცნიერებისთვის ახალი არ არის. ეს პრობლემა, მე-19 საუკუნის დასაწყისიდან (იხილეთ სტიელტესის და ჰაუსდორფის ნაშრომები), განხილული იყო ცნობილი მათემატიკოსების ნაშრომებში. დღესდღეობით, ამ სფეროში არსებობს ბევრი არაშესწავლილი საკითხები.

ერთ-ერთ ასეთ საკითხს წარმოადგენს პრობლემა, როცა საჭიროა უცნობი განაწილების ფუნქციის კვანტილის (შებრუნებული ფუნქციის) აღდგენა, ისეთი სიტუაციაში, როცა ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ მომენტები გარკვეულ რიგამდე.

მოცემულ თავში განხილულია კვანტილის ფუნქციის აპროქსიმაციის სამი ტიპის მოდელი:

მოდელი 1: როცა ცნობილია ენტროპიული მომენტები;

მოდელი 2: როცა მოცემული ჩვეულებრივი მომენტები;

მოდელი 3: როცა ჩვენ გვაქვს საქმე ტრანსპონირებულ მომენტებთან.

აღნიშნული მოდელებისთვის განხილულია ორი შემთხვევა, როცა განაწილების ფუნქციის განსაზღვრის არე არის კომპაქტი, ან ის არის დადებით ნახევარ ღერძი  $R_+ = (0, \infty)$ .

აგრეთვე ამ თავში მოყვანილია კვანტილის ფუნქციის აპროქსიმაციის მოდიფიცირებული ვერსია და ნაჩვენებია მისი უპირატესობა, ძირითად აპროქსიმაციასთან შედარებით. დამტკიცებულია თეორემები კვანტილის ფუნქციის აპროქსიმაციის რიგის შესახებ.

დავუშვათ  $F$  არის აბსოლუტურად უწყვეტი განაწილების ფუნქცია, ლეზეგის ზომის მიმართ  $R_+$ -ზე. შესაბამისი სიმკვრივის ფუნქცია აღვნიშნოთ  $f$  –ით. შემდეგში ჩვენ ყოველთვის ვიგულისხმებთ, რომ გვაქვს შემდეგი მომენტების თანმიმდევრობა Romera, Angulo, Dehesa [15]:

$$m(j, F) = \int t^j dF(t),$$

$$m^-(j, F) = \int_0^1 [F(t)]^j dt, \quad m^-(j, S) = \int_0^\infty [S(t)]^j dt,$$

$$m^+(j, F) = \int t [F(t)]^j dF(t), \quad j \in N.$$

შემდგომში ჩვენ ვიგულისხმებთ, რომ აღნიშნული მომენტები წარმოადგენენ სასრულ რიცხვთა მიმდევრობას, ხოლო  $N$  არის ნატურალურ რიცხვთა მიმდევრობა.

შემოვიდოთ ზოგიერთი აღნიშვნები, რომელიც შემდგომ პარაგრაფებში იქნება გამოყენებული

$f$  - ის ნორმა თანაბარ მეტრიკაში:  $\|f\| = \sup_{0 \leq x \leq T} |f(x)| < \infty$ .

$f$  - ის  $L_1$ -ნორმა:  $\|f\|_{L_1} = \int |f(t)| dt$ .

### 1.1 მოდელი I, შემთხვევა (A): $\text{supp}\{F\} = (0, T)$ , $T < \infty$ .

ზოგადობის შეუზღუდავად ვიგულისხმობთ რომ  $T = 1$ . დავუშვათ, ჩვენთვის ცნობილია ენტროპიული მომენტების შემდეგი მიმდევრობა  $\alpha$  რიგამდე

$$m_F^- = \{m^-(j, F),$$

$j = 0, 1, \dots, \alpha\}$ , სადაც:

$$m^-(j, F) = \int_0^1 [F(t)]^j dt. \quad (1.1)$$

ყოველი  $0 < x < 1$  -ისთვის, გავიხსენოთ კვანტილის ფუნქციის განსაზღვრება,  $Q(x) = \inf\{t : F(t) \geq x\}$ .  $Q$  -ს განზოგადოებული შებრუნებული ფუნქციას უწოდებენ, როცა  $F$  არის უწყვეტი, მაშინ  $Q(x) = F^{-1}(x)$ .

განვმარტოთ კვანტილის ფუნქციის აპროქსიმაცია შემდეგნაირად:

$$Q_\alpha^-(x) = (K_\alpha^{-1} m_F^-)(x), \quad x \in (0, 1), \quad (1.2)$$

სადაც

$$(K_\alpha^{-1} m_F^-)(x) = \sum_{k=0}^{\lfloor \alpha x \rfloor} \sum_{j=k}^{\alpha} \binom{\alpha}{j} \binom{j}{k} (-1)^{j-k} m^-(j, F). \quad (1.3)$$

აქ  $\alpha \in N$  არის პარამეტრი, რომელიც განსაზღვრავს გამოყენებულ მომენტების რაოდენობას.

**თეორემა 1.1.** დავუშვათ ფუნქციები  $Q', Q''$  არიან შემოსაზღვრული  $(0, 1)$  - ზე და ამასთანავე  $Q''$  უწყვეტია, მაშინ, როცა  $\alpha \rightarrow \infty$  მივიღებთ:

$$Q_\alpha^-(x) - Q(x) = \frac{1}{\alpha + 1} [(1 - x + \lfloor \alpha x \rfloor - \alpha x) Q'(x) + \frac{1}{2} x(1 - x) Q''(x)] + o\left(\frac{1}{\alpha}\right); \quad (1.4)$$

$$\|Q_\alpha^- - Q\| \leq \frac{1}{\alpha + 1} \left\{ \|Q'\| + \frac{1}{8} \|Q''\| \right\} + o\left(\frac{1}{\alpha}\right). \quad (1.5)$$

**დამტკიცება:** ჩავსვათ (1.1) ფორმულით განსაზღვრული ენტროპიული მომენტები (1.3)-ს გამოსახულებაში, მივიღებთ:



$$\begin{aligned}
Q_{\alpha}^{-}(x) &= \sum_{k=0}^{\lfloor \alpha x \rfloor} \sum_{j=k}^{\alpha} \binom{\alpha}{j} \binom{j}{k} (-1)^{j-k} \int_0^1 [F(t)]^j dt = \\
& \sum_{k=0}^{\lfloor \alpha x \rfloor} \sum_{j=k}^{\alpha} \binom{\alpha}{j} \binom{j}{k} (-1)^{j-k} \int_0^1 [F(t)]^{j+k-k} dt \\
& \sum_{k=0}^{\lfloor \alpha x \rfloor} \sum_{j=k}^{\alpha} \frac{\alpha!}{j!(\alpha-j)!k!(j-k)!} \int_0^1 [F(t)]^k [-F(t)]^{j-k} dt = \\
& \int_0^1 \sum_{k=0}^{\lfloor \alpha x \rfloor} \sum_{j=k}^{\alpha} \frac{\alpha!(\alpha-k)!}{(\alpha-j)!(j-k)!k!(\alpha-k)!} [F(t)]^k [-F(t)]^{j-k} dt =
\end{aligned} \tag{1.6}$$

$$\int_0^1 \sum_{k=0}^{\lfloor \alpha x \rfloor} \frac{\alpha!}{k!(\alpha-k)!} [F(t)]^k \sum_{j=k}^{\alpha} \frac{(\alpha-k)!}{(\alpha-j)!(j-k)!} [-F(t)]^{j-k} dt.$$

(1.6) ბოლო სტრიქონის მეორე ჯამში შემოვიღოთ ახალი ინდექსი,  $m = j - k$ , და ნიუტონის ბინომის ფორმულის გამოყენებით გვექნება:

$$\begin{aligned}
Q_{\alpha}^{-}(x) &= \int_0^1 \sum_{k=0}^{\lfloor \alpha x \rfloor} \frac{\alpha! [F(t)]^k}{k!(\alpha-k)!} \sum_{m=0}^{\alpha-k} \frac{(\alpha-k)!}{m!(\alpha-k-m)!} [-F(t)]^m dt = \\
& \int_0^1 \sum_{k=0}^{\lfloor \alpha x \rfloor} \binom{\alpha}{k} [F(t)]^k (1-F(t))^{\alpha-k} dt = \int_0^1 B_{\alpha}(F(t), x) dt .
\end{aligned} \tag{1.7}$$

აქ

$$B_{\alpha}(t, x) = \sum_{k=0}^{\lfloor \alpha x \rfloor} \binom{\alpha}{k} t^k (1-t)^{\alpha-k}, \quad 0 < t < 1. \tag{1.8}$$

მოვახდინოთ ცვლადთა გარდაქმნა ინტეგრალის შიგნით  $u = F(t)$ , ე.ი.  $t = Q(u)$ ,

ე.ი. (1.7) გამოსახულება გადაიწერება შემდეგნაირად:

$$Q_{\alpha}^{-}(x) = \int_0^1 B_{\alpha}(F(t), x) dt = \int_0^1 B_{\alpha}(u, x) dQ(u). \tag{1.9}$$

(1.9)-ის მარჯვენა მხარეს ნაწილობრივი ინტეგრირების ფორმულის გამოყენების შემდეგ მივიღებთ ტოლობას:

$$B_{\alpha}(t, x) Q(t) I_0^1 - \int_0^1 Q(t) \frac{\partial}{\partial t} B_{\alpha}(t, x) dt = \tag{1.10}$$

$$B_\alpha(1, x)Q(1) - B_\alpha(0, x)Q(0) - \int_0^1 Q(t) \frac{\partial}{\partial t} B_\alpha(t, x) dt ,$$

სადაც  $Q(0) = 0$  და  $B_\alpha(1, x) = 0$  მაშასადამე გვექნება:

$$Q_\alpha^-(x) = - \int_0^1 Q(t) \frac{\partial}{\partial t} B_\alpha(t, x) dt . \quad (1.11)$$

გამოვთვალოთ  $B_\alpha(t, x)$ -ს კერძო წარმოებული პირველი არგუმენტის მიმართ:

$$\begin{aligned} \frac{\partial B_\alpha(t, x)}{\partial t} &= -\alpha(1-t)^{\alpha-1} + \sum_{k=1}^{\lfloor \alpha x \rfloor} \binom{\alpha}{k} k t^{k-1} (1-t)^{\alpha-k} - \sum_{k=1}^{\lfloor \alpha x \rfloor} \binom{\alpha}{k} t^k (1-t)^{\alpha-k-1} = \\ &= -\alpha(1-t)^{\alpha-1} + \alpha \sum_{k=0}^{\lfloor \alpha x \rfloor - 1} \binom{\alpha-1}{k} t^k (1-t)^{\alpha-1-k} - \alpha \sum_{k=1}^{\lfloor \alpha x \rfloor} \binom{\alpha-1}{k} t^k (1-t)^{\alpha-1-k} = \\ &= \alpha \sum_{k=0}^{\lfloor \alpha x \rfloor - 1} \binom{\alpha-1}{k} t^k (1-t)^{\alpha-1-k} - \sum_{k=0}^{\lfloor \alpha x \rfloor} \binom{\alpha-1}{k} t^k (1-t)^{\alpha-1-k} = \\ &= -\alpha \binom{\alpha-1}{\lfloor \alpha x \rfloor} t^{\lfloor \alpha x \rfloor} (1-t)^{\alpha-1-\lfloor \alpha x \rfloor} = -\beta(t, c, d-1) . \end{aligned} \quad (1.12)$$

ახლა განვიხილოთ შემდეგი სხვაობა:

$$Q_\alpha^-(x) - Q(x) = \int_0^1 B_\alpha(t, x) dQ(t) - Q(x) = \int_0^1 [Q(t) - Q(x)] \beta_\alpha(t, c, d-1) dt, \quad (1.13)$$

სადაც  $\beta_\alpha(\cdot, c, d)$ -ით აღნიშნულია ზეტა განაწილების სიმკვრივე პარამეტრებით  $c = \lfloor \alpha x \rfloor + 1, d - 1 = \alpha - \lfloor \alpha x \rfloor$ . მისი საშუალო და დისპერსია მოიცემა შემდეგი

სახით:

$$\theta_\alpha = \frac{\lfloor \alpha x \rfloor + 1}{\alpha + 1}, \sigma_\alpha^2 = \frac{(\lfloor \alpha x \rfloor + 1)(\alpha - \lfloor \alpha x \rfloor)}{(\alpha + 1)^2(\alpha + 2)}, \quad (1.14)$$

გადავწეროთ  $\theta_\alpha - x$  სხვაობა შემდეგნაირად:

$$\theta_\alpha - x = \frac{1-x}{\alpha+1} + \frac{\lfloor \alpha x \rfloor - \alpha x}{\alpha+1}, \quad (1.15)$$

და აღვნიშნოთ, რომ

$$\sigma_\alpha^2 = \frac{x(1-x)}{(\alpha+2)} + \Delta_{2,\alpha}(x),$$

სადაც  $\Delta_{2,\alpha}(x) \leq \frac{2}{(\alpha+2)^2}$  (იხ. Chen [16], Johnson, Kotz, Balakrishnan [18]). შემდგომში

სიმარტივისთვის  $\beta_\alpha(\cdot, c, d-1)$  აღვნიშნავთ  $\beta_\alpha(t, x)$ .

ტეილორის ფორმულის გამოყენებით (1.4)-ში  $Q(t)$ -ისთვის  $t = x$  წერტილის მახლობლად მივიღებთ:

$$\int_0^1 (Q'(x)(t-x) + \frac{Q''(\tilde{t})(t-x)^2}{2}) \beta_\alpha(t, x) dt, \quad (1.16)$$

განვიხილოთ პირველი შესაკრების ყოფაქცევა:

$$\int_0^1 Q'(x)(t-x)\beta_\alpha(t,x)dt = Q'(x)\left[\int_0^1 t\beta_\alpha(t,x)dt - x\int_0^1 \beta_\alpha(t,x)dt\right], \quad (1.17)$$

სადაც  $\int_0^1 t\beta_\alpha(t,x)dt$  არის ბეტა განაწილების პირველი მომენტი, რომელიც იყო

მოყვანილი (1.14)-ში, რაც შეეხება  $\int_0^1 \beta_\alpha(t,x)dt = 1$ , მაშასადამე საბოლოოდ მივიღებთ:

$$\int_0^1 Q'(x)(t-x)\beta_\alpha(t,x)dt = Q'(x)(\theta_\alpha - x) = Q'(x)\frac{(1-x - \lfloor \alpha x \rfloor - \alpha x)}{\alpha + 1}. \quad (1.18)$$

ახლა განვიხილოთ მეორე შესაკრები

$$\begin{aligned} \frac{1}{2}\int_0^1 Q''(\tilde{t})(t-x)^2\beta_\alpha(t,x)dt &= \frac{1}{2}\int_0^1 (Q''(\tilde{t}) - Q''(x) + Q''(x))(t-x)^2\beta_\alpha(t,x)dt = \\ &= \frac{1}{2}Q''(x)\int_0^1 (t-x)^2\beta_\alpha(t,x)dt + \int_0^1 (Q''(\tilde{t}) - Q''(x))(t-x)^2\beta_\alpha(t,x)dt, \end{aligned} \quad (1.19)$$

შევაფასოთ (1.19)-ის მეორე შესაკრები:

$$\begin{aligned} \left| \frac{1}{2}\int_0^1 (Q''(\tilde{t}) - Q''(x))(t-x)^2\beta_\alpha(t,x)dt \right| &\leq \frac{1}{2}\int_{|t-x|\leq\delta} |(Q''(\tilde{t}) - Q''(x))|(t-x)^2\beta_\alpha(t,x)dt + \\ &+ \frac{1}{2}\int_{|t-x|\geq\delta} |(Q''(\tilde{t}) - Q''(x))|(t-x)^2\beta_\alpha(t,x)dt \leq \\ &\leq \frac{1}{2}\varepsilon \int_{|t-x|\leq\delta} (t-x)^2\beta_\alpha(t,x)dt + \frac{1}{2} * 2\|Q''\| \int_{|t-x|\geq\delta} (t-x)^2\beta_\alpha(t,x)dt. \end{aligned} \quad (1.20)$$

ნებისმიერი  $\varepsilon$ , რადგანაც  $Q''(x)$  უწყვეტია  $(0,1)$  და  $t < \tilde{t} < x$ ,  $|(Q''(\tilde{t}) - Q''(x))|$

შევცვლით  $\varepsilon$ . აგრეთვე აღვნიშნოთ, რომ

$$\int_{|t-x|\leq\delta} (t-x)^2\beta_\alpha(t,x)dt \leq \sigma_\alpha^2 = \frac{x(1-x)}{\alpha+1} + \Delta_{2,\alpha}(x) = \frac{C_1}{\alpha+1}, \quad (1.21)$$

ახლა ვაჩვენოთ, რომ

$$\frac{1}{2}\int_{|t-x|\geq\delta} (t-x)^2\beta_\alpha(t,x)dt = o\left(\frac{1}{\alpha}\right), \quad \text{როცა } \alpha \rightarrow \infty. \quad (1.22)$$

შემოვიღოთ ფუნქციათა მიმდევრობა:

$$\beta^*(t,x) = (\alpha+1)(t+x)^2\beta_\alpha(t,x). \quad (1.23)$$

ეს ფუნქციები წარმოადგენენ  $\delta$ - მიმდევრობას, წერტილში  $t=x$ , და

$$\int_{|t-x|\geq\delta} \beta^*(t,x)dt \rightarrow 0, \quad \alpha \rightarrow \infty. \quad (1.24)$$

საბოლოოდ ჩვენ მივიღებთ:

$$\begin{aligned} \frac{1}{2} \int_{|t-x|\geq\delta} (t-x)^2 \beta_\alpha(t,x)dt &= \frac{\frac{1}{2} \int_{|t-x|\geq\delta} (t-x)^2 \beta_\alpha(t,x)dt}{\frac{1}{2} \int_0^1 (t-x)^2 \beta_\alpha(t,x)dt} \times \\ &\times \frac{1}{2} \int_0^1 (t-x)^2 \beta_\alpha(t,x)dt \approx \\ &\approx \frac{1}{2C} (\alpha+1) \int_{|t-x|\geq\delta} (t-x)^2 \beta_\alpha(t,x)dt \left( \frac{C}{\alpha+1} \right) + o\left( \frac{1}{\alpha} \right), \end{aligned} \quad (1.25)$$

თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ როცა  $\alpha \rightarrow \infty$ ,

$$\frac{1}{2C} (\alpha+1) \int_{|t-x|\geq\delta} (t-x)^2 \beta_\alpha(t,x)dt \leq \frac{1}{2C} \int_{|t-x|\geq\delta} \beta^*(t,x)dt \rightarrow 0, \quad (1.26)$$

ამიტომ (1.24)-(1.26) გამოყენებით, დავასკვნით, რომ როცა  $\alpha \rightarrow \infty$  გვექნება:

$$\frac{1}{2} \int_{|t-x|\geq\delta} (t-x)^2 \beta_\alpha(t,x)dt = o\left( \frac{1}{\alpha} \right). \quad (1.27)$$

გადაწეროთ (1.19) გამოსახულების პირველი შესაკრები შემდეგნაირად:

$$\frac{1}{2} Q''(x) \int_0^1 (t-x)^2 \beta_\alpha(t,x)dt = \frac{1}{2} Q''(x) \int_0^1 (t-\theta + \theta-x)^2 \beta_\alpha(t,x)dt, \quad (1.28)$$

სადაც

$$\begin{aligned} \int_0^1 (t-\theta + \theta-x)^2 \beta_\alpha(t,x)dt &= \int_0^1 (t-\theta)^2 \beta_\alpha(t,x)dt - 2 \int_0^1 (t-\theta)(\theta-x) \beta_\alpha(t,x)dt + \\ &+ \int_0^1 (\theta-x)^2 \beta_\alpha(t,x)dt. \end{aligned} \quad (1.29)$$

განვიხილოთ სამივე შესაკრები ცალ-ცალკე:

$$\begin{aligned} \int_0^1 (t-\theta)^2 \beta_\alpha(t,x)dt &\text{ არის } \sigma_\alpha^2 \text{ ტოლი, ხოლო} \\ -2 \int_0^1 (t-\theta)(\theta-x) \beta_\alpha(t,x)dt &= -2(\theta-x) \int_0^1 (t-\theta) \beta_\alpha(t,x)dt = \\ -2(\theta-x) \left[ \int_0^1 t \beta_\alpha(t,x)dt - \int_0^1 \theta \beta_\alpha(t,x)dt \right] &= -2(\theta-x)(\theta-\theta) \int_0^1 \beta_\alpha(t,x)dt = \end{aligned}$$

$$-2(\theta-x)(\theta-\theta)=0,$$

და

$$\int_0^1 (\theta-x)^2 \beta_\alpha(t,x) dt = (\theta-x)^2 \int_0^1 \beta_\alpha(t,x) dt = (\theta-x)^2 = \left( \frac{1-x}{\alpha+1} + \frac{\lfloor \alpha x \rfloor - \alpha x}{\alpha+1} \right)^2, \quad (1.30)$$

საიდანაც მიღებული შედეგების ჩასმით მივიღებთ დასამტკიცებელს

$$Q_\alpha^-(x) - Q(x) = \frac{1}{\alpha+1} [(1-x + \lfloor \alpha x \rfloor - \alpha x) Q'(x) + \frac{1}{2} x(1-x) Q''(x)] + o\left(\frac{1}{\alpha}\right), \quad \alpha \rightarrow \infty. \quad (1.31)$$

წინა შედეგების თანახმად ადვილად მიიღება უტოლობა:

$$\|Q_\alpha^- - Q\| \leq \frac{1}{\alpha+1} \left\{ \|Q'\| + \frac{1}{8} \|Q''\| \right\} + o\left(\frac{1}{\alpha}\right), \quad \alpha \rightarrow \infty. \quad (1.32)$$

რადგანაც ყოველი  $0 \leq x \leq 1$ ,  $|1-x + \lfloor \alpha x \rfloor - \alpha x| \leq 1$ , და  $0 \leq x(1-x) \leq \frac{1}{4}$ . თეორემა დამტკიცებულია.  $\square$

## 1.2 მოდელი I, შემთხვევა (B): $\text{supp}\{F\} = (0, \infty)$

დავუშვათ ჩვენთვის ცნობილია ენტროპიული მომენტები  $a$  რიგამდე  $m_s^- = \{m^-(j, S), j = 0, 1, \dots, \alpha\}$ , რომლებიც მოიცემა შემდეგი სახით:

$$m^-(j, S) = \int_0^\infty [S(t)]^j dt, \quad j = 1, \dots, \alpha. \quad (1.33)$$

აქ  $S = 1 - F$  წარმოადგენს  $F$  განაწილების კუდს. ჩვენ ფორმულებში ვიყენებთ დაშვებას, რომ პირველი მომენტი სასრულია და არსებობს ყველა შემდეგი მომენტი  $m^-(1, S) = E(X) < \infty$ , ამის გათვალისწინებით შემოვიღოთ  $Q$ -ს შემდეგნაირად განსაზღვრული აპროქსიმაცია

$$Q_{\alpha, S}(x) = (\bar{K}_\alpha^{-1} m_s^-)(x), \quad x \in (0, 1), \quad (1.34)$$

სადაც

$$(\bar{K}_\alpha^{-1} m_s^-)(x) = \sum_{k=\alpha-\lfloor \alpha x \rfloor}^{\alpha} \sum_{j=k}^{\alpha} \binom{\alpha}{j} \binom{j}{k} (-1)^{j-k} m^-(j, S). \quad (1.35)$$

**თეორემა 1.2:** თუ კი  $Q'$  და  $Q''$  შემოსაზღვრულია  $x \in (\delta, 1-\delta)$  და  $Q'$  არის უწყვეტი, მაშინ როცა  $\alpha \rightarrow \infty$ , ჩვენ გვექნება

$$(i) Q_{\alpha, S}(x) - Q(x) = \frac{1}{\alpha+1} [(1-x + \lfloor \alpha x \rfloor - \alpha x) Q'(x) + \frac{1}{2} x(1-x) Q''(x)] + o\left(\frac{1}{\alpha}\right); \quad (1.36)$$

$$(ii) \|Q_{\alpha, S} - Q\| \leq \frac{1}{\alpha+1} \left\{ \|Q'\| + \frac{1}{8} \|Q''\| \right\} + o\left(\frac{1}{\alpha}\right). \quad (1.37)$$

**დამტკიცება:** (1.33) ფორმულაში მოცემული სიხშირული მომენტები ჩავსვათ (1.35), მივიღებთ

$$\begin{aligned} Q_{\alpha, S}(x) &= \sum_{k=\alpha-\lfloor \alpha x \rfloor}^{\alpha} \sum_{j=k}^{\alpha} \binom{\alpha}{j} \binom{j}{k} (-1)^{j-k} \int_0^{\infty} [S(t)]^j dt = \\ &= \sum_{k=\alpha-\lfloor \alpha x \rfloor}^{\alpha} \sum_{j=k}^{\alpha} \binom{\alpha}{j} \binom{j}{k} (-1)^{j-k} \int_0^{\infty} [S(t)]^{j+k-k} dt \\ &= \sum_{k=\alpha-\lfloor \alpha x \rfloor}^{\alpha} \sum_{j=k}^{\alpha} \frac{\alpha!}{j!(\alpha-j)! k!(j-k)!} \int_0^{\infty} [S(t)]^k [-S(t)]^{j-k} dt = \\ &= \int_0^{\infty} \sum_{k=\alpha-\lfloor \alpha x \rfloor}^{\alpha} \sum_{j=k}^{\alpha} \frac{\alpha!(\alpha-k)!}{(\alpha-j)!(j-k)! k!(\alpha-k)!} [S(t)]^k [-S(t)]^{j-k} dt = \end{aligned} \quad (1.38)$$

$$\int_0^{\infty} \sum_{k=\alpha-\lfloor \alpha x \rfloor}^{\alpha} \frac{\alpha! [S(t)]^k}{k! (\alpha-k)!} \sum_{j=k}^{\alpha} \frac{(\alpha-k)!}{(\alpha-j)!(j-k)!} [-S(t)]^{j-k} dt,$$

(1.38) შემოვიღოთ ბოლო სტრიქონის მეორე ჯამში ახალი ინდექსი,  $l = j - k$ .

ნიუტონის ბინომის ფორმულის გამოყენებით გვექნება:

$$\begin{aligned} Q_{\alpha, S}(x) &= \int_0^{\infty} \sum_{k=\alpha-\lfloor \alpha x \rfloor}^{\alpha} \frac{\alpha! [S(t)]^k}{k! (\alpha-k)!} \sum_{l=0}^{\alpha-k} \frac{(\alpha-k)!}{l! (\alpha-k-l)!} [-S(t)]^l dt = \\ &= \int_0^{\infty} \sum_{k=\alpha-\lfloor \alpha x \rfloor}^{\alpha} \binom{\alpha}{k} [S(t)]^k (1-S(t))^{\alpha-k} dt = \int_0^{\infty} B_{\alpha}(F(t), x) dt = \\ &= \int_0^1 B_{\alpha}(t, x) dQ(t). \end{aligned}$$

თუ კი გავითვალისწინებთ შემდეგ გამოსახულებას

$$Q_{\alpha, S}(x) - Q(x) = \int_0^1 B_{\alpha}(t, x) dQ(t) - Q(x) = \int_0^1 [Q(t) - Q(x)] \beta_{\alpha}(t, c, d-1) dt,$$

და გამოვიყენებთ იგივე ტექნიკას, რასაც თეორემა 1.1 (1.10)-(1.32) გამოსახულებებში და აგრეთვე (იხ. Mnatsakanov, Sborshchikovi [19]) მარტივად დავამტკიცებთ (i)-(ii).  $\square$

**ლემა 1.1:** თუ კი  $\text{supp}\{F\} = (0,1)$ , მაშინ  $Q_{\alpha,S}(x) = Q_{\alpha}^{-}(x)$ , ყოველი  $x \in (0,1)$ .

**დამტკიცება:** რადგანაც, ყოველი  $j \in N_{\alpha}$ , სადაც  $N_{\alpha} = \{0,1,\dots, \alpha\}$ , შემდეგი ინტეგრალები

სასრულია:  $\int_0^1 [F(t)]^j dt < \infty$ . თუ კი გავითვალისწინებთ (1.7) და (1.38) გაკეთებულ

ეტაპებს მივიღებთ:

$$Q_{\alpha,S}(x) = \sum_{k=\alpha-\lfloor \alpha x \rfloor}^{\alpha} \sum_{j=k}^{\alpha} \binom{\alpha}{j} \binom{j}{k} (-1)^{j-k} \int_0^1 [S(t)]^j dt =$$

$$\int_0^{\infty} \sum_{k=\alpha-\lfloor \alpha x \rfloor}^{\alpha} \binom{\alpha}{k} [S(t)]^k (1-S(t))^{\alpha-k} dt = \int_0^1 B_{\alpha}(F(t), x) dt = Q_{\alpha}^{-}(x) \quad , \quad (1.39)$$

ე.ი. ორივე მოდელისთვის გვაქვს (იხ.1.8):

$$Q_{\alpha,S}(x) = Q_{\alpha}^{-}(x) = \int_0^1 B_{\alpha}(F(t), x) dt. \quad (1.40) \quad \square$$

**შენიშვნა 1:** მოცემულ თეორემებში განხილული თეორიული ზღვრების პრაქტიკაში გამოთვლა ვერ ხერხდება, რადგან პირველი და მეორე რიგის წარმოებულები  $Q'$  და  $Q''$  არ არიან ცნობილი. იმის გათვალისწინებით, რომ  $Q''$  არის უწყვეტი  $(0,1)$ -ზე, შემოგვაქვს  $Q'$  და  $Q''$  აპროქსიმაციები:

$$Q_{\alpha}'(x) = (B_{\alpha}^{-1} m_F^{-})(x)$$

და

$$Q_{\alpha}''(x) = (B_{\alpha}^{-1} m_F^+)(x), \quad x \in (0,1), \quad (1.41)$$

სადაც

$$m_F^{-} = (m^{-}(j, F), j = 0,1,\dots, \alpha)$$

$$m_F^{+} = (m_{-}(j, F), j = 1,\dots, \alpha), \quad (1.42)$$

$$m_{-}(j, F) = (-j)m^{-}(j-1, F) + Q_{\alpha}'(1). \quad (1.43)$$

აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ  $Q_{\alpha}'$  და  $Q_{\alpha}''$  ეფუძნება ერთ და იგივე ფორმულას Mnatsakanov, Garai [20], Mnatsakanov, Sborshchikovi [19]:

$$(B_{\alpha}^{-1} m)(x) = \frac{\Gamma(\alpha+2)}{\Gamma(\lfloor \alpha x \rfloor + 1)} \sum_{j=0}^{\alpha-\lfloor \alpha x \rfloor} \frac{(-1)^j m(j+\lfloor \alpha x \rfloor)}{j!(\alpha-\lfloor \alpha x \rfloor-j)!}, \quad x \in (0,1). \quad (1.44)$$

$\varepsilon_0$  სიზუსტის აპროქსიმაციისთვის ვიღებთ შემდეგ გამოსახულებას:

$$\frac{1}{\alpha_0 + 1} \left\{ \|Q_{\alpha}'\| + \frac{1}{8} \|Q_{\alpha}''\| \right\} = \varepsilon_0$$

სადაც  $\alpha_0$  განისაზღვრება შემდეგნაირად:  $\alpha_0 = \left\lfloor \frac{\varepsilon_0}{\|Q'_\alpha\| + \frac{1}{8}\|Q''_\alpha\|} - 1 \right\rfloor$ .

$\alpha_0$  შერჩევისას უნდა ავიღოთ  $\alpha$  საკმარისად დიდი მნიშვნელობა.

### 1.3 მოდელი II, შემთხვევა (A): $\text{supp } \{F\} = (0, T), T < \infty$ .

**შემთხვევა (A):** ზოგადობის შეუზღუდავად ვიგულისხმობთ რომ  $T=1$ , და დავუშვათ რომ ცნობილია  $F$  განაწილების ფუნქციის მომენტები  $\alpha$  რიგამდე  $m_F = \{1, m(1, F), \dots, m(\alpha, F)\}$ , სადაც

$$m(j, F) = \int_0^1 t^j dF(t), \quad j \in N = \{1, 2, \dots\}, \quad (1.45)$$

აღნიშვნით  $F$  განაწილების ფუნქციის შემდეგი აპროქსიმაცია  $F_\alpha = K_\alpha^{-1} m_F$ , როცა  $\alpha \rightarrow \infty$ , მივიღებთ

$$(K_\alpha^{-1} m_F)(x) = \sum_{k=0}^{\lfloor \alpha x \rfloor} \sum_{j=k}^{\alpha} \binom{\alpha}{j} \binom{j}{k} (-1)^{j-k} m(j, F), \quad x \in (0, 1). \quad (1.46)$$

$Q(x)$  კვანტილის ფუნქციის აპროქსიმაცია მეორე მოდელისათვის განვმარტოთ შემდეგნაირად:

$$Q_\alpha(x) = \int_0^1 B_\alpha(F_\alpha(u), x) du, \quad 0 < x < 1. \quad (1.47)$$

(1.47) ფორმულაში მონაწილე აპროქსიმაცია  $F_\alpha$  – თვის ზემოთ ნაჩვენები იყო

$\|F_\alpha - F\| \leq \frac{C_2}{\alpha + 1}$  (იხ. Mnatsakanov [11], Mnatsakanov, Ruymgaart[17]), აგრეთვე

შევნიშვნოთ (იხ. Johnson[18]):

$$\beta(t, \lfloor \alpha x \rfloor + 1, \alpha - \lfloor \alpha x \rfloor + 1) \leq \frac{C_1 \sqrt{\alpha}}{\sqrt{x(1-x)}}, \quad 0 < x < 1, \quad (1.48)$$

სადაც  $C_1$  დადებითი მუდმივია. შემდგომში გამოვიყენებთ შემდეგ აღნიშვნებს:

$$\|f\|_\delta = \sup_{\delta \leq x \leq 1-\delta} |f(x)|, \quad C_2 = \|f\| + \|f'\|/2, \quad C_3 = \|f\| + \|f'\|/12,$$

$$C_4 = \|Q'\|_{L_1}, \quad C_5 = \int |Q''(x)| x(1-x) dx.$$

**თეორემა 1.3:** თუ  $f$  და  $f'$  და აგრეთვე  $Q', Q''$  ფუნქციები უწყვეტი არიან  $(0, 1)$ -ზე, მაშინ, როცა  $\alpha \rightarrow \infty$ :



$$(i) \quad \|Q_\alpha - Q_\alpha^-\|_\delta \leq \frac{C_2 \|Q'\|_\delta}{\alpha + 1} + o\left(\frac{1}{\alpha}\right), \quad (1.49)$$

(ii) თუ (1.47)-ში  $[ax]$  ქვეშ ვიგულისხმებთ უდიდეს მთელ რიცხვს, რომელიც ნაკლებია  $\alpha x$ -ზე მაშინ :

$$\|Q_\alpha - Q\|_\delta \leq \frac{1}{\alpha + 1} \left\{ (1 + C_2) \|Q'\|_\delta + \frac{1}{8} \|Q''\|_\delta \right\} + o\left(\frac{1}{\alpha}\right), \quad \alpha \rightarrow \infty, \quad (1.50)$$

(iii) თუ  $C_4 < \infty$  და  $Q''$  უწყვეტია  $(0,1)$ -ზე, მაშინ

$$\|Q_\alpha - Q_\alpha^-\|_{L_1} \leq \frac{C_1 C_3 \pi}{8\sqrt{\alpha}} + \frac{1}{\alpha + 1} \left\{ C_4 + \frac{1}{2} C_5 \right\} + o\left(\frac{1}{\sqrt{\alpha}}\right), \quad \alpha \rightarrow \infty. \quad (1.51)$$

**დამტკიცება:** (i): ყოველი  $x \in (\delta, 1 - \delta)$ , გამოვიყენოთ ტეილორის ფორმულა  $B_\alpha(t, x)$ -სთვის (პარაგრაფი 1.1, (1.13) ტოლობა) და

$$\frac{\partial^2 B_\alpha(t, x)}{\partial t^2} = \beta(t, c, d - 2) - \beta(t, c - 1, d - 1) = \Delta\beta(t, x), \quad (1.52)$$

გამოყენებით, მივიღებთ შემდეგ გამოსახულებას:

$$\begin{aligned} Q_\alpha(x) - Q_\alpha^-(x) &= \int_0^1 [B_\alpha(F_\alpha(u), x) - B_\alpha(F(u), x)] du = \\ &= - \int_0^1 [F_\alpha(u) - F(u)] \beta(F(u), c, d - 1) du + \\ &+ \frac{1}{2} \int_0^1 [F_\alpha(u) - F(u)]^2 \Delta\beta(\tilde{F}(u), x) du. \end{aligned} \quad (1.53)$$

შევაფასოთ (1.53) პირველი შესაკრები:

$$\begin{aligned} \left| \int_0^1 [F_\alpha(u) - F(u)] \beta(F(u), c, d - 1) du \right| &\leq \|F_\alpha - F\| \int_0^1 \beta(F(u), x) du \leq \\ &\frac{C_2}{\alpha + 1} \int_0^1 \beta(t, x) Q'(t) dt \leq \frac{C_2 \|Q'\|_\delta}{\alpha + 1}. \end{aligned} \quad (1.54)$$

განვიხილოთ (1.53) მეორე შესაკრები აღვნიშვნოთ, რომ:

$$\Delta\beta(t, x) = \beta(t, c, d - 2) - \beta(t, c - 1, d - 1),$$

ამიტომ, (1.48) გამოყენებით მივიღებთ:

$$\begin{aligned} |\beta(t, c, d - 2) - \beta(t, c - 1, d - 1)| &\leq |\beta(t, c, d - 2)| + |\beta(t, c - 1, d - 1)| \leq \\ &\leq \frac{C_1 \sqrt{\alpha}}{\sqrt{x(1-x)}} + \frac{C_1 \sqrt{\alpha}}{\sqrt{x(1-x)}} = \frac{2C_1 \sqrt{\alpha}}{\sqrt{x(1-x)}}, \end{aligned} \quad (1.55)$$

და

$$\sup_{\delta \leq x \leq 1-\delta} \left| \frac{2C_1 \sqrt{\alpha}}{\sqrt{x(1-x)}} \right| \frac{1}{2} \int_0^1 [F_\alpha(u) - F(u)]^2 du \leq \frac{C_1 \alpha^{\frac{1}{2}} C_2}{\delta(\alpha+1)^2} = o\left(\frac{1}{\alpha}\right).$$

ამიტომ ვლუბლობთ მე-(1.49).

(ii) -ს დამტკიცებას ადვილად მივიღებთ (1.49) და თეორემა 1.1-ში მიღებული შედეგების გამოყენებით:

$$\begin{aligned} \|Q_\alpha - Q\|_\delta &= \frac{C_2 \|Q\|_\delta}{\alpha+1} + \left( \frac{1}{\alpha+1} [\|Q'\|_\delta + \frac{1}{8} \|Q''\|_\delta] + o\left(\frac{1}{\alpha}\right) \right) = \\ &= \frac{1}{\alpha+1} (\|Q'\|_\delta (1+C_2) + \frac{1}{8} \|Q''\|_\delta), \text{ როცა } \alpha \rightarrow \infty. \end{aligned} \quad (1.56)$$

(iii) ის დამტკიცება ხდება ისევ (1.49) გამოყენებით

$$\begin{aligned} \int_0^1 |Q_\alpha - Q_\alpha^-| dx &\leq \int_0^1 \int_0^1 |F_\alpha(u) - F(u)| \beta(\tilde{F}(u), c, d-1) du dx \leq \\ &\leq \frac{C_1 C_2 \sqrt{\alpha}}{\alpha+1} \int_0^1 \frac{dx}{\sqrt{x(1-x)}} + o\left(\frac{1}{\sqrt{\alpha}}\right) = \\ &= \frac{C_1 C_3 \pi}{8\sqrt{\alpha}} + o\left(\frac{1}{\sqrt{\alpha}}\right). \end{aligned} \quad (1.57)$$

მეორეს მხრივ (1.31) -ის გამოყენებით გვექნება:

$$\begin{aligned} \int_0^1 |Q_\alpha^-(x) - Q(x)| dx &\leq \frac{1}{\alpha+1} \{ |Q'(x)(1-x + \lfloor \alpha x \rfloor - \alpha x)| dx + \\ &+ \frac{1}{2} \int_0^1 |Q''(x)| x(1-x) dx \} + o\left(\frac{1}{\alpha}\right), \text{ როცა } \alpha \rightarrow \infty. \end{aligned} \quad (1.58)$$

ამიტომ (1.57)-(1.59) -ს საშუალებით დებულება დამტკიცებულია.  $\square$

#### 1.4 მოდელი II, შემთხვევა (B): $\text{supp}\{F\} = (0, \infty)$

ვთქვათ ჩვენთვის ცნობილია  $F$  ფუნქციის ლაპლასის გარდაქმნის მნიშვნელობები შემდეგ წერტილებში  $s \in \{0, \ln b, 2 \ln b, \dots, \alpha \ln b\}$ , რაიმე  $b > 1$

$$L_{F,b}(j) = \int e^{-j \ln(b)\tau} dF(\tau), j = 0, 1, \dots, \alpha, \quad (1.59)$$

$Q$  კვანტილის ფუნქციის აპროქსიმაცია  $L_{F,b}(j)$  -ს საშუალებით ხდება ანალოგიურად:

$$Q_{\alpha,b}(x) = \int_0^{\infty} B_{\alpha}(F_{\alpha,b}(u), x) du, \quad (1.60)$$

$F_{\alpha,b}$  - შესწავლილი იყო ადრე იხ. Mnatsakanov, Sarkisian [21] და განისაზღვრება გამოსახულებით:  $F_{\alpha,b} = L_{\alpha}^{-1} L_{F,b}$ , სადაც

$$L_{\alpha}^{-1} L_{F,b}(x) = 1 - \sum_{k=0}^{\lfloor \alpha b^{-x} \rfloor} \sum_{j=k}^{\alpha} \binom{\alpha}{j} \binom{j}{k} (-1)^{j-k} L_{F,b}(j), x \in R_+, \quad (1.61)$$

აგებულ კონსტრუქციაში  $b$  ფიქსირებული ნამდვილი რიცხვია და  $\alpha \rightarrow \infty$ .

### 1.5 მოდელი III, შემთხვევა (B): $\text{supp}\{F\} = (0, \infty)$

ვთქვათ გვაქვს მოცემული ტრანსპონირებული მომენტები  $m_F^+ = \{m^+(j, F), j = 0, \dots, \alpha\}$ , სადაც

$$m^+(j, F) = \int_0^{\infty} x [F(x)]^j dF(x). \quad (1.62)$$

დავუშვათ, რომ პირველი რიგის მომენტი  $m^+(0, F) = \int x dF(x)$  სასრულია, მაშინ არსებობს ყველა უფრო მაღალი რიგის მომენტიც  $m^+(j, F)$ , განვიხილოთ ყოველი  $j \geq 2$ .  $\beta(t, c_x, d_x), t \in (0, 1)$ , ბეტა განაწილების ფუნქციას, რომლის პარამეტრებია  $c_x = \lfloor \alpha x \rfloor + 1$  და  $d_x = \alpha - \lfloor \alpha x \rfloor + 1$  სამართლიანი შემდეგი უტოლობა

$$\beta(t, c_x, d_x) \leq \frac{C_1 \sqrt{\alpha}}{\sqrt{x(1-x)}}, 0 < x < 1, \quad (1.63)$$

ნებისმიერი მუდმივი  $C_1 > 0$  (იხ. Chen [16]).

შემოვიღოთ  $Q$ -ს კვანტილის ფუნქციის მესამე ტიპის (მოდელის) აპროქსიმაცია (იხ. Sborshchikovi [22]) :

$$Q_{\alpha}^+(x) := (B_{\alpha}^{-1} m_F^+)(x), x \in (0, 1), \quad (1.64)$$

სადაც

$$(B_{\alpha}^{-1} m_F^+)(x) := \frac{\Gamma(\alpha + 2)}{\Gamma(\lfloor \alpha x \rfloor + 1)} \sum_{j=0}^{\alpha - \lfloor \alpha x \rfloor} \frac{(-1)^j m^+(j + \lfloor \alpha x \rfloor, F)}{j! (\alpha - \lfloor \alpha x \rfloor - j)!}. \quad (1.65)$$

თუ (1.62) მოცემული  $m_F^+$  ჩავსვით (1.65) მარჯვენა მხარეში მივიღებთ

$$Q_{\alpha}^+(x) = \int_0^{\infty} \beta(F(u), c_x, d_x) u dF(u) = \int_0^1 \beta(t, c_x, d_x) Q(t) dt. \quad (1.66)$$

**თეორემა 1.4:** თუ  $Q'$  და  $Q''$  შემოსაზღვრული და უწყვეტი ფუნქციებია  $[\delta, 1 - \delta]$ -ზე, მაშინ ყოველი  $x \in (0, 1)$  და  $\alpha \rightarrow \infty$  გვაქვს:

$$(i) Q_\alpha^+ - Q(x) = \frac{1}{\alpha+2} \{ (1-2x + \lceil \alpha x \rceil - \alpha x) Q'(x) + \frac{1}{2} x(1-x) Q''(x) \} + o\left(\frac{1}{\alpha}\right), \quad (1.67)$$

$$(ii) \|Q_\alpha^+ - Q\|_\delta \leq \frac{1}{\alpha+2} \left\{ \frac{3}{2} \|Q'\|_\delta + \frac{1}{8} \|Q''\|_\delta \right\} + o\left(\frac{1}{\alpha}\right), \quad (1.68)$$

**დამტკიცება:** იმის გამო, რომ სამართლიანია (1.66) და ანალოგიური მსჯელობის გამოყენებით, რომელიც შემოთავაზებული იყო Mnatsakanov, Garai [20], ადვილად მტკიცდება (i), რაც შეეხება (ii) მისი დამტკიცების ანალოგიური პროცედურა განხილულ იყო Mnatsakanov [12]. □

## 1.6 კვანტილის ფუნქციის აპროქსიმაციების მოდიფიკაცია

მოცემულ პარაგრაფში განვიხილოთ კვანტილის ფუნქციის აპროქსიმაციის მოდიფიცირებული ვერსია, რომლის გამოყენებაც შეიძლება ნაშრომში განხილული ყველა მოდელისთვის.

აღვნიშნოთ  $\tilde{\alpha} = 2\alpha$ , და

$$\tilde{Q}_{\alpha,s}(x) = 2Q_{\tilde{\alpha},s}(x) - Q_{\alpha,s}(x)$$

$$\tilde{Q}_\alpha^+(x) = 2Q_{\tilde{\alpha}}^+(x) - Q_\alpha^+(x)$$

$$\tilde{Q}_\alpha^-(x) = 2Q_{\tilde{\alpha}}^-(x) - Q_\alpha^-(x).$$

აქ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ბოლო შემთხვევას მოდელი I შემთხვევა (A), რადგანაც დანარჩენი მოდელისთვის დამტკიცება ანალოგიურია.

**თეორემა 1.5:** დავუშვათ ფუნქციები  $Q', Q''$  არიან შემოსაზღვრული  $(0,1)$  – ზე და ამასთანავე  $Q''$  უწყვეტია, მაშინ, როცა  $\alpha \rightarrow \infty$ .

$$(i) \quad \tilde{Q}_\alpha^-(x) - Q(x) = \frac{1}{(\alpha+1)(2\alpha+1)} [Q'(x)((1-x) + (2\alpha+3)(\lceil \alpha x \rceil - \alpha x)) + \frac{1}{2} x(1-x) Q''(x) + O\left(\frac{1}{\alpha^2}\right)]. \quad (1.69)$$

$$(ii) \quad \tilde{Q}_\alpha^+(x) - Q(x) = \frac{1}{(\alpha+1)(\alpha+2)} [(1-2x + (\lceil \alpha x \rceil - \alpha x))(\alpha+3)Q'(x) + \frac{1}{2} x(1-x)Q''(x)] + O\left(\frac{1}{\alpha^2}\right). \quad (1.70)$$

**დამტკიცება:** ავიღოთ  $\tilde{Q}_\alpha^-(x) - Q(x)$  გადავწეროთ შემდეგნაირად:

$$\begin{aligned} \tilde{Q}_\alpha^-(x) - Q(x) &= 2[(Q_{\tilde{\alpha}}^-(x) - Q(x)) - (Q_\alpha^-(x) - Q(x))] = 2\left[\frac{1}{2\alpha+1} [(1-x + \lceil 2\alpha x \rceil - 2\alpha x)Q'(x) + \right. \\ &\left. + \frac{1}{2} x(1-x)Q''(x)] - \frac{1}{\alpha+1} [(1-x + \lceil \alpha x \rceil - \alpha x)Q'(x) + \frac{1}{2} x(1-x)Q''(x)] \right], \end{aligned} \quad (1.71)$$

დავაჯგუფოდ შესაკრებები და მივიღებთ

$$\left[\frac{1}{2}x(1-x)Q''(x)\right]\left(\frac{1}{(2\alpha+1)(\alpha+1)}\right). \quad (1.72)$$

და

$$Q'(x)\left[\frac{4\lfloor\alpha x\rfloor-4\alpha x}{2\alpha+1}-\frac{\lfloor\alpha x\rfloor-\alpha x}{\alpha+1}\right]=\frac{Q'(x)}{(2\alpha+1)(\alpha+1)}\left[(\lfloor\alpha x\rfloor-\alpha x)(2\alpha+3)\right], \quad (1.73)$$

საიდანაც საბოლოოდ მივიღებთ

